ჩემი თავგადასავალი

ავტორი: ნიტა ქოჩიშვილი

20 წლის

551 109 634

nitaaanita40@gmail.com

საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მესამე კურსის

სტუდენტი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით

ავტობუსში ვზივარ და ვფიქრობ ...

უნივერსიტეტის კონკურსისთვის, ,,ჩემი თავგადასავალი“ რაიმეს დაწერა მინდა. საიდან დავიწყო? წარმოდგენაც არ მაქვს. ის ვიცი, რომ აუცილებლად უნდა დავწერო. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე არასდროს მიფიქრია ჩემს თავგადასავალზე.

მაინც რა არის თავგადასავალი? მეორე კლასში , რომ ქართულის მასწავლებელს მსგავსი თემა მოეცა, დიდი ალბათობით ზაფხულის არდადეგებზე ან რაიმე მსგავსზე დავწერდი, ალბათ. თუმცა, გატყუებთ. ეს ასე არ მომხდარა. როცა მეორე კლასში ვიყავი, 2008 წელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ვიყავი, კარგად ვგრძნობდი სიტუაციის სირთულეს. და თუ სათანადოდ ვერ ვგრძნობდი, იმას მაინც ვხვდებოდი, რომ ის თავგადასავალი, რაც ჩემს ქვეყანას გადახდა, ტრაგედია იყო. ომი იყო.

რაც არ უნდა ნათელი თემით ვიწყებდე, ბოლოს მაინც ომამდე მივდივარ. იქნებ ყველაზე გონივრულიც სწორედ ეს იყოს ადამიანისთვისაც, ქვეყნისთვისაც- მშიდობის დროსაც, ომისთვის მზადების პროცესში იყოს და არ იტყუებდეს თავს.

სამი წელია უნივერსიტეტში ვსწავლობ. ანუ, სამი წელია რაც საკუთარი ცხოვრება და ყოველდღიურობა, ინტერესები საერთაშორისო ურთიერთობების კვლევას დავუკავშირე. ამაზე უკეთესს ალბათ ვერც ვერაფერს ვიზამდი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ბავშვობა მუსიკით ვიყავი დაკავებული, ვთვლიდი , რომ ხელოვანი ადამიანი ვარ, საბოოოდ მგონია, დღეს სწორედ იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. დიპლომატიაც ხომ თავისებური ხელოვნებაა, უფრო სწორად, ურთიერთობის ყველაზე დიდი ხელოვნება, რომელზეც ხშირად სახელმწიფოთა ბედია დამოკიდებული.

ხანდახან, ისეთ ქაოსში ვცხოვრობ, ხშირად წარმოუდგენელი მგონია ამ სიტუაციებიდან გამოსვლა. მაგრამ გამოდიხარ. აგრძელებ შენს თავგადასავალს. და მაინც... მეორე კლასში რომ ვიყო, ჩემს თავგადასავალს ალბათ სხვანაირად დავახასიათებდი. დღეს კი, ასე მგონია, ჩემი თავგადასავალი ჩემს მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯია, ყოველი ახალგაღვიძებული დილა და იმედგაცრუებებით, ბედნიერებით თუ მოულოდნელობებით გათენებული ღამე.

ქართული ენა გამორჩეულად ღირებული ენა რომ არის, ამას თუნდაც სიტყვა ,,თავგადასავალი“ მოწმობს. ასევე , სიტყვა ,,განსაცდელი“. ,,თავგადასავალი“ , ანუ რაც თავს

გადაგხდენია და რაც გადაგხდება სამომავლოდ. ცხოვრება ხომ ერთი დიდი თავგადასავალია, თავისი ავითა და კარგით. ფიქრებში ისე ვარ გართული, ვერ ვამჩნევ, როგორ ცარიელდება და ივსება, ცარიელდება და ივსება ავტობუსი დაუსრულებლად. ვერც იმას ვამჩნევ, გვერდით როგორ მომისკუპდა პატარა გოგონა და ჩემს რვეულს დაჰყურებს.

-აქ რა გიწერია? ,- დაკვირვებულად, მოურიდებლად მეკითხება და პირბადისგან აღაჟღაჟებული ლოყებით, ჩემსკენ თავს ატრიალებს.

რვეულს დავხედე. ისე ვიყავი ფიქრებში განმარტოებული, ადამიანის ახლო ყოფნა მეუცნაურა. რვეული კლაუზევიცის თეორიაზე მქონდა გადაშლილი. ბავშვი თვალს არ აცილებს ჩემს ნაჯღაბნს.

-ეს... ეს ერთი ჭკვიანი კაცის თეორიაა. ომს ეხება.- ვეცადე, რაც შეიძლება მარტივად მეპასუხა ბავშვისთვის.

-ომს? ,- ლოყები კიდევ უფრო აუწითლდა გოგონას. -უკრაინაში რომ არის?

არ ვიცოდი რა მეპასუხა. -კი, დაახლოებით... ,- ვუთხარი და მზერა მის პატარა ზურგჩანთაზე გადავიტანე, რომელიც ბავშვის წონაზე რამდენიმე კილოგრამით მეტი ჩანდა.

-რა მოხდებაო?,- გააგრძელა ცნობისმოყვარე საუბარი. მე ისევ ფიქრების ნაკადს შევყევი და დავიწყე ფიქრი, ხვალ რამდენი საქმე მაქვს გასაკეთებელი, სახლში როგორც კი მივალ უნდა ვიმეცადინო, მოვამზადო სტატია, ,,ჩემი თავგადასავალი“ დავწერო... ხელზე ვიღაც მქაჩავს. ისევ ის გოგონაა.

-რა მოხდება? მეკითხება ისევ.

-ამ კაცმა არ იცის. ის მეთექვსმეტე საუკუნიდან გველაპარაკება. მაგრამ, რომ იცოდე, ყველა თუ არა, უმეტეს თანამედროვეზე უკეთესად საუბრობს არსებულზე...(მივხვდი, ზედმეტად ფორმალურად გამომივიდა და საუბრის თემის შეცვლა ვცადე).

-შენ სკოლიდან მოდიხარ?

-კი, სკოლიდან(და მზერა თავის უზარმაზარ ზურგჩანთაზე გადააქვს). მაგრამ მე ეგ მეთვრამეტე საუკუნის ადამიანი მაინტერესებს. რა მოხდებაო? დედა ამბობს, ჩემნაირი პატარა ბავშვები დაუცველები არიან იქ. ეგ რას ამბობს?

მეხსიერებაში ვცდილობ კლაუზევიცის სამებაზე ვიფიქრო. ხელისუფლება, სამხედრო ძალა, ხალხი...მთავარი წინააღმდეგობის ნების გატეხვის დაუშვებლობაა... ვცდილობ ბავშვისთვის გასაგებ ენაზე ვთქვა, მაგრამ ვერ ვიგებ როგორ...

-ეს კაცი გვეუბნება, რომ მთავარი ისეთი ადამიანია როგორიც შენ ხარ,- ვეუბნები ბოლოს.

-ჩემნაირი?, თვალები უფართოვდება და უკვე ზურგჩანთაც აღარ ემძიმება.

-შენნაირი. შენ ხომ გაინტერესებს ეს ? ხომ გაინტერესებს რა მოხდება? ხომ ხარ ძლიერი და ფიქრობ შენნაირ ქვეყანაზე? ეს კაციც ამას ამბობს.

-მაინც რას ამბობს?(ცდილობს, მეტი გაიგოს და ახლოს იწევა ჩემკენ).

-იმას, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხი ყოველთვის იმარჯვებს.

ვპასუხობ და კარისკენ დაძრულს, უზარმაზარი ჩანთის მოთვინიერებაში ვეხმარები.